საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გარიკი (ვაჩნაძე) ვახტანგ გიორგის ძე

გარიკი (ნამდვ. გვარი ვაჩნაძე) ვახტანგ გიორგის ძე (31. III. 1896, სოფ. ბაკურციხე, ახლანდ. გურჯაანის მუნიციპალიტეტი, – 1937), რეჟისორი, თეატრ. მოღვაწე, კრიტიკოსი. 1918 დაამთავრა მოსკ. არქეოლ. ინ-ტი. თეატრ. განათლება მიიღო მოსკ. მცირე თეატრის დრამ. სტუდიაში. 1918 თბილისში დადგა ა. ერისთავ-ხოშტარიას „მოლიპულ გზაზე“. 1922-იდან იყო პროლეტკულტის ქართ. დრამ. სტუდიის, 1924–27 – პროლეტკულტის წითელი თეატრის ქართ. სექტორის რეჟისორ-პედაგოგი. დადგა შემდეგი სპექტაკლები: ს. ტრეტიაკოვის „გესმის, მოსკოვო“, რ. როლანის „ბასტილიის აღება“, ფ. შილერის „ყაჩაღები“. დიდი ღვაწლი მიუძღვის სოხუმის პროფ. დრამ. თეატრის (აფხ. და ქართ. დასები) ჩამოყალიბებაში. 1928–31 ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. დადგა სპექტაკლები: ს. ჭანბას „მუჰაჯირები“, ს. შანშიაშვილის „ანზორი“, კ. კალაძის „როგორ“, მ. კოვეს „ინაფხა კიაგუა“, ფ. შილერის „ფიესკოს შეთქმულება“ და სხვ. 1931–33 გ. იყო თელავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, დადგა: ვ. კირშონის „პური“, ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“ და სხვ. 1933–34 მოღვაწეობდა ზუგდიდის, 1934–37 კვლავ სოხუმის თეატრებში. წერდა მოთხრობებსა და პიესებს, გაასცენიურა ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“, „ოთარაანთ ქვრივი“, დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“. მანვე თარგმნა ფ. შილერის „ფიესკოს შეთქმულება“ და „ვერაგობა და სიყვარული“, მოლიერის „დონ-ჟუანი“. 1929 გამოიცა მისი თეორიული შრომების „თეატრის“ I წიგნი, 1958 კი – II წიგნი.

საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი.

შ. ცუცქირიძე